საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვეში 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 400,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
საშვლოურად განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 607 კვირა, ოქტომბრის 28, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ ორგანიზაციებს საყურადღებოთ, რომ ნოემბრის 7-სათვის ქ. ტფილისში მოწვეულია.

პარტიის მეორე ყრილობა

განსახილველი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. დამოკიდებულება კომპარტიასთან.
3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 100 წევრზე იგზავნება ერთი დელეგატი. ორგანიზაცია, რომელშიაც ითვლება ას წევრზე ნაკლები, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. არჩევნები ხდება ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებაზე.

ყრილობა გაიხსნება ცენტრალურ კლუბში დღის 12 საათზე.

„ვისაც არ სურს წითელი დიქტატურა ის მიიღებს თეთრ დიქტატურას“

ამ ჟამად ევროპის კონტინენტი მეტად დიდი ამბების წინაშე იმყოფება; გერმანეთის თანამედროვე მდგომარეობამ გამოააშკარავა და მზის სინათლეზე გამოიტანა ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლითაც დასნეულებული არის კაპიტალისტური მსოფლიო და ის საბრთხე, რომელსაც უმზადებს კაცობრიობას იმპერიალისტების პოლიტიკა.

გერმანეთის ამბებით დაინტერესებულნი არიან ერთის მხრით: როგორც კაპიტალისტური ძალები, ისე რევოლიციონური ორგანიზაციები, გერმანეთ ს თანამედროვე მოძრაობას თავიანთი ინტერესების რამეობით ხსნიან და თავიანთი გამარჯვების აუცილებელ პირობათ მიაჩნიათ.

გერმანეთში ძალა-უფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლას შეუძლია ფაქტიურად შესცვალოს არა მარტო თვით გერმანეთის მდგომარეობა, არამედ არსებითად გარდაქმნას მთელი ცენტრალური ევროპის, ბალკანეთის, ბალტიკის მხარის პოლიტიკური რუქის და გარდაიქცეს საერთაშორისო რევოლიუციის მეორე მნიშვნელოვან პერიოდათ,—ამით შეიქმნებოდა უდიდესი კავშირი სოციალისტური რესპუბლიკებისა, რომლის ძალა და ენერგია სულ სხვაგვარ სწონასწორობას შექმნიდა მსოფლიოში. ეს კარგათ აქვთ გათვალისწინებული ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და ამიტომ ყოველგვარი ძალ-ღონით სცდილობენ სისხლის მორევში ჩააღჩონ გერმანეთის პროლეტარული მოძრაობა. განსაკუთრებით დიდ აქტივობას იჩენენ სეფრანგეთის იმპერიალისტები პუანკარეს მეთაურობით. საფრანგეთის პოლიტიკა მიმართულია უმთავრესად გერმანეთის დანაწილებისაკენ და ცდილობს მას გარს შემოარტყას თავისი ვასალი წვრილი სახელმწიფოები, მაგარი გარდუვალი ზღუდის შექმნა საბჭოთა კავშირისა და გერმანეთის მოძრაობის შორის,—აი რა შეადგენდა და დღესაც შეადგენს საფრანგეთის პოლიტიკოსების მთავარ ამოცანას. ამ მიზნით მათ ოქტომბრის გადატრიალების მეორე დღესვე მხარი დაუჭირეს და გაამაგრეს პოლონეთის სახელმწიფო, ბალტიკის ქვეყნები, რუმინეთი, შემდეგ ჩეხო-სლოვაკია და სხვა. დღესაც ეს სახელმწიფოები პუანკარეს ვასალები არიან და მათი დახმარებით ცდილობს საფრანგეთის მთავრობა გაუმკლავდეს როგორც გერმანეთის რევოლიციონურ მოძრაობას, ისე საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

დღეს გერმანეთში ფაქტიურად მომწიფდა პირობები და მთელი მხარე სამოქალაქო ომის პროცესში არის გახვეული. პროლეტარული მასები კომპარტიის ხელმძღვანელობით მიილტვის ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ. მაგრამ არც რეაქციონურ ძალებს სძინავს; შავი რეაქცია ფაშიზმის სახით ემზადება გადამჭრელ ბრძოლისათვის.

მებრძოლ ძალების ასეთი დაპირისპირება არსებითად ამცირებს იმ შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს გერმანეთის თანამედროვე მდგომარეობამ.

დღეს ჩვენ განვიცდით 1914 წლის წინა პერიოდის მდგომარეობას, რომელმაც შემდეგში გამოიწვია დიდი საერთაშორისო ომი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის; დღევანდელ პირობებში ასეთი რამ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა და რევოლიუციონურ ორგანიზაციებს შორის არის შესაძლებელი. მეორეს მხრით ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ძლიერ გვაგონებს იმ პერიოდს, რომელსაც განიცდიდა გერმანელი 1918 წლის რევოლიუციონურ მოძრაობის დროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ პროლეტარიატი ვერ იყო დარაზმული და მას არ ყავდა ორგანიზაციულად ძლიერი ხელმძღვანელი კომპარტიის სახით. დღეს ორივე ეს პირობა გადალახულია და გერმანეთის კომპარტია ფაქტიური ხელმძღვანელია პროლეტარული მოძრაობის.

მაგრამ გერმანეთის პროლეტარული მოძრაობის გამარჯვება არ არის დამოკიდებული მარტო შინაური ძალთა განწყობილებაზე. აქ გადამჭრელი როლი შეუძლია ითამაშოს საგარეო ფაქტორებს. ამიტომ არის, რომ მთელი გულისყური და ენერგია საბჭოთა რესპუბლიკებისა დღეს მიმართული არის გერმანეთის ამბებისაკენ.

დღევანდელ მდგომარეობის ვითარებამ უნდა გადასწყვიტოს და გარკვეული სახე უნდა მისცეს ევროპის პირობებს; ფაშიზმისა და რევოლიუციის ბრძოლამ უნდა გამოარკვიოს ევროპის სავალი გზები: ან ფაშიზმის, შავი რეაქციის დიქტატურა, ან რევოლიუცია და ევროპის სოციალისტურს ნიადაგზე მოწესრიგება,—ამ სახით სდგას საკითხი. საერთაშორისო სატრანსპორტო ფედერაციის მოსამსახურეთა მდივანმა ფიმენმა პრაგაში კატეგორიულად განაცხადა; ის ამხანაგები, რომელთაც ეშინიათ წითელი დიქტატურისა და ამიტომ საბოტაჟს უწევენ გაერთიანებულ ფრონტს, შედეგად მიიღებენ თეთრ დიქტატურასო.

თეთრსა და წითელ დიქტატურის შორის არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს დღევანდელ მდგომარეობიდან გამოსვლა და ძალა-უფლების აღება მთელს მსოფლიოში.

მაგრამ თვით ფაშიზმი, რომელსაც მხოლოდ თავხედობა და ავანტიურა ახასიათებს, ფაქტიურად უძლურია აღადგინოს კაპიტალისტური მეურნეობის შერყეული პირობები და განამტკიცოს შეურყეველი სწონასწორობა მთელს მსოფლიოში. კაპიტალისტური მსოფლიო იმდენად დაღრღნილი არის შინაგანი წინააღმდეგობებით, იმდენად გატეხილი არის ბურჟუაზიული წყობილების მექანიკა და ეკონომიკა, რომ მისი აღდგენა და მსოფლიოში მშვიდობიანობის შექმნა შეუძლებელი ხდება ძველი მეთოდებით ძველი გზებითა და ძველი ძალებით. რეაქციის გამარჯვებას გერმანეთში შეუძლია ისედაც დაშლილი ეკონომიკა უფრო დაშალოს და ქრონიკული კრიზისები გაამეფოს მთელს მსოფლიოში.

ერთად ერთი მხსნელი კაცობრიობისა და მისი გამომყვანი იმ ქუჩაბანდიდან, რომელშიაც იგი მოემწყვდა 1914 წლის წყალობით, არის რევოლიუციონური პროლეტარიატი და მის ბრძოლის პროგრამა.

გერმანეთის დღევანდელი მდგომარეობა და იქ შექმნილ პირობების ვითარება გამოარკვევს დიდი ხნის განმავლობაში დასჭირდება კიდევ ევროპას ანარქიისა და განადგურების პროცესში ყოფნა, თუ პროლეტარიატი დღესვე შესძლებს შავი ძალების განადგურებას და დღესვე შეუდგება ევროპის ახალ საფუძველზე მოწესრიგებას.

ჩვენი პარტია და რევოლიუცია

თავის არსებობის სივრცეზე ჩვენს პარტიას მუდამ ახასიათებდა რევოლიუციის სწორი გაგება, რევოლიუციის ალღოს აღება, რევოლიუციის მსვლელობის და მისი მომავალ ვითარების გათვალისწინება, წინასწარ ყოველმხრივი აღნუსხვა რევოლიუციონურ შემოქმედებითი მუშაობისა—აი მთავარი, რაც მუდმივ თან ახლდა და რითაც ხელმძღვანელობდა ყოველთვის დიად და მნიშვნელოვან საკითხის წამოყენება-გადაჭრის დროს ჩვენი პარტია და მისი რიგები.

საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიას უკანასკნელ წლებში უმთავრესად ახასიათებდა რევოლიუციასთან დაახლოვება და რაც უფრო აშკარად და შესამჩნევად ხდებოდა პარტიის დაახლოება რევოლიუციასთან, მით უფრო იწმინდებოდა მისი რიგები იმ ყალბ ელემენტებიდან, რომელსაც გათიშვისას ეყრდნობოდენ ახლად და ახლად აღმოცენებული პარტიები უკიდურეს მემარჯვენე მიმართულებებიდან დაქანებულნი ჩვეულებრივ მემარჯვენეებამდე. უკანასკნელებში ვგულისხმობთ მემარჯვენე სოც.-ფედერალისტთა პარტიას, რომელიც ნაციონალდემოკრატებათურთ უკვე მენშევიკებთან შეერთებულნი მოექცნენ რევოლიუციის საწინააღმდეგო ბანაკში და საქართველოს ხსნას მხოლოდ ბურჟუაზიულ ევროპისაგან მოელიან.

ჩვენი ფრთის დაახლოვებას რევოლიუციასთან ჩვენგან მემარჯვენე ელემენტების გათიშვით, რასაკვირველია უნდა მომხდარიყო მათა მოშორება რევოლიუციისაგან და რევოლიუციისაგან მოშორება ხომ ნიშნავს რეაქციასთან დაახლოვებას. ეს ცხადია ჩვენთვის. ვინც ჩვენთან არ არის და არ არის საერთოდ დღევანდელ რევოლიუციონურ მოძრაობასთან, დიდ კომუნისტურ მოძრაობასთან, ის უე-

გერმანეთის რევოლიუციის გარეგანი დამაგრკოლებელი მიზეზები

(ტელეგრაფით).

ამხ. ზინოვიევი წერილში „გერმანიის რევოლიუციის ამოცანები“—სწერს:

„ომის გამოცხადება საფრანგეთის, ჩეხიის და პოლონეთის ბურჟუაზიის მხრივ და მოსალოდნელი ინგლისის ბლოკადა—აი გერმანიის რევოლიუციის ხელის შემშლელი საერთაშორისო პოლიტიკური მიზეზები. გერმანიის პროლეტარულმა რევოლიუციამ პირველი ნაბიჯიდანვე უფრო მეტი საერთაშორისო მნიშვნელობა მიიღო, ვინემ რუსეთის რევოლიუციამ. გერმანია უფრო სამრეწველო ქვეყანაა, გერმანია ევროპის მთავარი ნერვია. პროლეტარული გადატრიალება ბერლინში თავის თავად გამოიწვევს პარიზის ჩარევას, რომელიც მთავარი ცენტრია საერთაშორისო რეაქციის.

გერმანიის პროლეტარიატის ძლიერი ძალა ხელს შეუწყობს მთელ ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებას. გერმანიის მუშებს სურთ მშვიდობიანობა. გარეშე საშიშროება გერმანიის რევოლიუციის მტკივანი ადგილია. 1917 წელში საბჭოთა რუსეთს ჰქონდა უპირატესობა: საერთაშორისო იმპერიალიზმი ორათ იყო გაყოფილი და საბჭოთა რუსეთი იხსნა მისმა უსაზღვრო მიწა-წყალმა.

გერმანიის რევოლიუციის უპირატესობა გამოიხატება: რუსეთის რევოლიუციის მაგალითში, საკავშირო საბჭოთა მუშათა რესპუბლიკების არსებობაში, კომინტერნის 5 წლის არსებობაში. თუმცა ამპერიალიზმის ორი ჯგუფი აღარ არსებობს, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოები ერთმანეთს ექიშპებიან და შეჯიბრება ინგლის-საფრანგეთს შორის დღითი-დღე იზრდება. უსათუოდ იქნება ცდა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ, მაგრამ რამდენათ განორგანიზებულ-დება ეგ საეჭვოა. ამის მაგალითია რუსეთის 6 წლის რევოლიუცია.

იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ბანაკში გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ ერთმანეთს შეეჯახება ორი პოლიტიკა: დაპყრობილ-იმპერიალისტური და სოციალური-კლასიური. საერთაშორისო ბურჟუაზიის ცალკე ჯგუფების ინტერესები აიძულებენ მათ დაიპყრან სხვა და სხვა ადგილები—რური, აღმოსავლეთის პრუსია და სხვა ეს ხელს შეუშლის საერთაშორისო ბურჟუაზიის მთლიან ფრონტის შექმნას გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ: გერმანიის პროლეტარიატმა თავის მოქმედების გეგმის შემუშავების დროს უნდა გაითვალისწინოს უფრო ძნელი მდგომარეობა; ის უნდა მზად იყოს იმისათვის, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი გერმანიის რევოლიუციაში დაინახავს დიდ ხიფათს, მთელ ბურჟუაზიულ ევროპისათვის.

საერთაშორისო იმპერიალიზმს შეუძლიან დაუყონებლივ გააკეთონ პრაქტიკული დასკვნა. ინგლისს, საფრანგეთს, ჩეხო-სლოვაკიასა და პოლონეთს ჩაერიონ შეუძლიათ დაუყონებლივ გერმანიის რევოლიუციის საქმეში. გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციის ბედი მარტო გერმანიაში კი არ სწყდება, არამედ ინგლისში, საფრანგეთში, პოლონეთში და ჩეხო-სლოვაკიაში.

ინგლისი.

ინგლისის ბურჟუაზიის ნაწილი უკვე ლაპარაკობს ინგლისის ფლოტის მიერ ბალტიის საკითხადგურების დაჭერის შესახებ, რათა უზრუნველჰყოს „ინგლისის ინტერესები“, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გერმანეთში რევოლიუცია.

მაგრამ ინგლისის ბლოკადას გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, ხოლო ხმელეთის ჯარის გადმოიყვანას ინგლისი ვერ შესძლებს.

საფრანგეთი.

იმპერიალისტური საფრანგეთი დიდი სამხედრო ძალაა, მაგრამ რევოლიუციონურ გერმანეთის ოკუპაციისათვის ფართე მასშტაბით მას დასჭირდება არა ნაკლებ 1 მილიონი ჯარის კაცისა. საბოლოოდ ამ არმიას ხვდება ისეთივე ბედი, როგორიც ხვდა ვილჰელმის არმიას რევოლიუციონურ უკრაინაში. ამნაირ ომში ჯარების განწყობილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ზნეობრივი თანაგრძნობა პროლეტარულ გერმანეთის მხარეზე იქნება. შავკანიანი ჯარების იმედით გეგმების დაწყობა კი არასაიმედო საქმეა.

თუ იმპერიალისტური საფრანგეთი უცებ პირდაპირ ომს გამოუცხადებს რევოლიუციონურ გერმანეთს, მაშინ ეს უკანასკნელი დიდი წინააღმდეგობის გაწევას შესძლებს. მაშინ გერმანეთის ამბები განსაკუთრებით დიდ რევოლიუციონურ გავლენას იქონიებს საფრანგეთზედ.

პოლონეთი

საფრანგეთის იმპერიალისტებს არ შერცხვებათ, გაგზავნონ ბრძოლაში ბურჟუაზიული პოლონეთი. მაგრამ, თუ პოლონეთის ბურჟუაზიის ავანტიურისტულმა ნაწილმა გაბედა და გამოვიდა გერმანეთის რევოლიუციის ჯალათის როლში, ამით იგი უკვე ხელს მოაწერს თავის სასიკვდილო განაჩენს. ნაციონალისტური მემკვიდრეობა უფრო ჩქარა აღმოიფხვრება პოლონეთის პროლეტარიატის მიერ და ეს იქნება გერმანეთის პროლეტარულ რევოლიუციის შედეგი. რა წამს პოლონეთის ბურჟუაზია გაანძრევს ხელს, რომ დაიწყოს ომი გერმანეთის რევოლიუციისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ... (გამოტოვებულია). მით უფრო მეტ დავიდარაბას მიაყენებს პოლონეთის ბურჟუაზიას ეროვნული საკითხი პოლონეთის შიგნით, სადაც იჩაგრებიან უკრაინელები, ლიტველები, ბელოროსები, გერმანელები და ებრაელები.

ჩეხო-სლოვაკია.

ჩეხო-სლოვაკიას დიდი როლის თამაში შეუძლიან გერმანეთის რევოლიუციის ჩაქრობის საქმეში. მაგრამ აქაც ბურჟუაზიის მთლიან მოქმედებას ხელს შეუშლის ეროვნული საკითხი. თვით ბურჟუაზიის რიგებშიაც კი მიჰხვდებიან; რომ თეთრი გერმანეთი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩეხო-სლოვაკიისათვის, ხოლო საბჭოთა გერმანეთი სრულიად არ დაემუქრება მის არსებობას.

ჩეხო-სლოვაკიის ძლიერი პროლეტარიატი კომპარტიის მეთაურობით შესძლებს შეასრულოს თავისი ისტორიული დანიშნულება.

გამარჯვებული გერმანეთის პროლეტარული რევოლიუცია დიდ მოძრაობას გამოიწვევს ავსტრიაში, გერმანეთთან შეერთების სასარგებლოდ.

რეაქციონური ჰუნგრეთი დიდ შინაგან კრიზისს განიცდის, რომელსაც გამოჰყავს იგი წყობილებიდან.

გამარჯვებული გერმანეთის რევოლიუცია გამოიწვევს არა ჩვეულებრივ ენტიზიაზმს და აუარებელ ძალებს გამოაფხიზლებს საფრანგეთისა, პოლონეთისა და ჩეხიის პროლეტარიატში

საფრანგეთისა, პოლონეთისა და ჩეხიის კომპარტიის წინაშე წამოიჭრა უდიდესი ამოცანა. მათ უნდა შეამზადონ ყველა ორგანიციები გერმანეთის პროლეტარულ მთავრობისათვის პირდაპირი, ახდილი დახმარების აღმოსაჩენად.

განსაზღვრულ პირობებში გერმანიის მთავრობა არა ჰყოფს უარს, გამოისყიდოს თავი ანტანტის იმპერიალისტებისაგან: შესაძლებელია, მან დაიწყოს ვალების გადახდა ვერსალის ხელშეკრულებით, თუ კი ამ ფასით შესაძლებელი იქნება ომის გადიდება და რურის განთავისუფლება. შესაძლებელია, გერმანეთის რევოლიუციას მოუხდეს გავლა ბრესტის გზით. გერმანეთის კომპარტია არ არის დამხსნელი ბრესტის პერსპექტივისაგან. ჩვენ კარგად ვიცით საერთაშორისო ბურჟუაზიის ძალა.

მაგრამ ჩვენ არ ვივიწყებთ არც გერმანეთის რევოლიუციას, და ეს ძალა კი უფრო საშიშია და ძლიერი, ვიდრე რუსეთისა. ჩვენ გვახსოვს, რომ რევოლიუციის გზაზე შემდგარ მრავალ-მილიონიან ხალხს სურს ზავი, თუნდაც დიდის ფასით ნასყიდი.

თუ საერთაშორისო ბურჟუაზიამ გაბედა პირდაპირი ომი. მას შეუძლიან გამარჯვება მოიპოვოს მხოლოდ პირველ ხანებში, მაგრამ საბოლოო და ჩქარი დამარცხება მისთვის აუცილებელია: 60 მილიონიანი გერმანეთის ხალხი, პროლეტარული ხელისუფლების მეთაურობით, შესძლებს თავი დაახწიოს უცხოელების მიერ დამონებას.

გერმანიის რევოლიუცია გაიმარჯვებს. ყოველივეს მიუხედავად.

ქველად მის და უნებლიედ ჩათრეული ხდება რეაქციის ფერხულში, ჩათრეული ხდება ფაშისტურ მოძრაობის მსვლელობაში და თუ კი რევოლიუციასთან ბრძოლაში დარწმუნებულია რომ ემსახურება თავის სამშობლოს, თავის მშრომელ ხალხს—ეს არის მხოლოდ და მხოლოდ თავის მოტყუება, ეს არის ბურჟუაზიის სასარგებლოდ სამსახური, თავის მშრომელ ხალხის და სამშობლოს ღალატი.

შუა ხაზი არ არსებობს. ნეიტრალიტეტს მხოლოდ მახინჯი იცავს. აშკარაა ყველასათვის, რომ ირის პირ დგას ორი ძალა; ძალა რევოლიუციონუერი, ძალა განმათავისუფლებელი, ძალა მშვიდობიანობის დამყარებისა ხალხთა შორის, ძალა მოკავშირე საბჭოთა სახელმწიფოებისა, ძალა მშრომელი ხალხისა—ეს ერთი მხრით და მეორე მხრით კი ძალა რეაქციონური, შავი ძალა, რომელსაც მოაქვს მშრომელ ხალხის განადგურება, წვრილ ერების მოსპობა და დამონება, ახალ წყობილების დანგრევა, კულტურის შემუსვრა.

შუაში არსებობა შეუძლებელია, ვინც შუაში მოხდება, მას ორივე ძალა შემუსრავს და ის იძულებული ხდება ან იქით მიემხროს, ან აქეთ. გადახედეთ რუსეთის მოძრაობის მსვლელობას. ვინც კომუნისტურ მოძრაობას ებრძოდა, ის ყველა ერთ ბანაკში მოხვდა: ესერებიდან დაწყებული უკიდურეს შავ რეაქციონერებამდე. კერენსკი, სავინკოვი, ჩერნოვი, მილუკოვი, დენიკინი, ვრანგელი და მრავალი სხვა—ეს ხომ ისეთი ძალებია, რომელიც ებრძვის რევოლიუციონურ მოძრაობას და მასთან ერთად ყველა წვრილ ერთა მოძრაობას.

აიღეთ დღევანდელი გერმანიის ამბები. ისეთი სისწრაფით ხდება პარტიების დაშლა და მათი მიკედლება ხან მარჯვნით, ხან მარცხნით, კვლავ დაახლოვება ურთიერთთან, რომ თვით პარტიისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვერ გამორკვეულან ხშირად შექმნილ მდგომარეობიდან. სოციალ დემოკრატიული ბანაკი გერმანიაში ირღვევა, მისი უმრავლესობა—მუშათა უმრავლესობა, კომუნისტების დროშის ქვეშ რევოლიუციის ნიადაგზე დგება; ესენია მემარცხენე ელემენტები. მხოლოდ მემარჯვენენი, არსებითად არიან რეაქციასთან და მზათ არიან გაილაშქრონ რევოლიუციის წინააღმდეგ. ამ რიგად ისპობა საშუალო ძალა, რომელიც ორ ბანაკად დაყოფილი, მიდის მარჯვნით და მარცხნით, ნაწილი რევოლიუციისაკენ, ნაწილი რეაქციისაკენ.

და როდესაც ირაზმება პროლეტართა მასები ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მხოლოდ ბურჟუაზიის მასებიც ამაგრებენ თავის ბანაკს და ირაზმებიან პროლეტარიატის გასანადგურებლად, როდესაც წყდება რევოლიუციის დიდი საკითხები და მსოფლიო ახლო მომავალში დიად ამბების წინაშე დგას, როდესაც ჩვენ ირგვლივ გვესმის სისინი და სიხარული, რომ ვითომდა მოდის რევოლირციის აღსასრული,—სწორედ ამ დროს ჩვენ გამოვდივართ წინ და ჩვენი პარტიის ტრიბუნიდან ხმა მაღლა ვაცხადებთ:

დიაღ, დადგა დრო, როდესაც ჩვენ უნდა დავირაზმოთ ახალი ბრძოლისათვის, ბრძოლა მოსალოდნელია. ბრძოლა კი იქნება გადამწყვეტი, ვინაიდან ან გაიმარჯვებს რევოლიუცია და მაშასადემე სულთათანას უმღერებთ რეაქციას, ან და გაიმარჯვებს რეაქცია, რაც მოსპობა იქნება რევოლიუციისა.

ხოსო ახლანიშვილი.

ჯანდაბა-ლაპარაკები

„ზაკროსტას ცნობები“ 25 ოქტომბრიდან “

დღიური

— ჰამბურგის აჯანყება ჩაქრეს.

— უმუშევართა მოძრაობა სტიქიურად იზრდება მთელს გერმანეთში.

— კარი შეუძლებლად სცნობს შტრეზემანის მთავრობასთან შეთანხმებას.

— საქსონიაში მდგომარეობა ყოველდღე მწვავდება. რეიხსვერს თავი მედიდურად უჭირავს.

— საქსონიის მუშები ძალად არევოლიუციონერებენ სოც.-დემოკრატებს.

— ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვა ჩაიშალა სოც.-დემ. საბოტაჟის გამო

— მთელ რიგ ქალაქებში იშლება საერთო გაფიცვები, სოც.-დემ. საბოტაჟის გამო.

— მაინში ფრანგებმა საალყო წესები გამოაცხადეს

— საფრანგეთმა კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად წამოაყენა თავიხი პირობები.

— აახენში გამოცხადდა საერთო გაფიცვა.

— ბელგიელები აშკარად ეხმარებიან სეპარატისტებს.

— პოლონეთში გაფიცვები იზრდება.

— მოკლე ხანში რუსეთში მოემგზავრება საფრანგეთის ეკონომისტი შარლ უიდი.

გერმანიის ამბები.

რეიხსვერმა და ფლოტმა ჩაქრო ჰამბურგის აჯანყება. ქალაქის ზოგიერთ ნაწილებში გრძელდება ბრძოლა. სწარმოებს მუშათა მასიური დაპატიმრება.

რეიხსვერის წინსვლა საქსონიაში გრძელდება. ცნობებია მრავალრიცხოვანი დაპატიმრების შესახებ.

ამაში მდგომარეობდა პარტიის უდიდესი უბედურობა. იქ, სადაც ფილოსოფიური სკოლა არ არის—არ არის აგრედვე გამოურკვეული სოციალური ელემენტები, რომელნიც პარტიის ხორცს შეადგენდნენ. მსოფლმხედველობითი გამოურკვევლობა იწვევდა პარტიულ მასის სოციალურ გამოურკვევლობას. აქედან წარმოსდგა ისიც, რომ პარტიის **დამაარსებელთა** რიგებშიაც საკმაო ძალას წარმოადგენდა ანარქისტების ჯგუფი, თუმცა მიხაკო წერეთლის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, გოგელიების და სხ. სახელები ბოლომდე ნათესაურ და ძალიან მეგობრულ განწყობილებას იწვევდა ჩვენს პარტიაში. გარკვეულ დოგმატიურ საფუძვლების უქონლობა, ამავე დროს გარკვეულ დოგმატიკის—მარქსიზმის კრიტიკა ჩვენს პარტიაში თავს უყრიდა ყველა ჯურის ელემენტს და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია თითქმის 1912 წლამდე ქართველი ერის მრავალ, ხშირად ერთმეორეს მოწინააღმდეგე ელემენტებს უყრიდა თავს.

აქ იყო ჩვენი პარტიის სისუსტე. საქართველოში მომქმედ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ახასიათებდა ასეთი სისუსტე და ამიტომ იყო არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ დასტეხია თავს ისეთი ხეტიალი, რღვევა, დანაწილება, რამდენიც ჩვენს პარტიას. სოც.-ფედ. პარტიამ წარმოშვა საქართველოში ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, აქედან წარმოიშვა ვეშაპელის ეროვნული პარტია, აქედან დაიბადა რადიკალ-დემოკრატების პარტია, აქედანვე გაჩნდნენ მაშვრალები, მემარცხენე ფედერალისტები და სხ. აიღეთ ხსენებულ პარტიის ლიდერები: სპ. კედია, გ. ქიქოძე, გრ. ვეშაპელი, თეოდო სახოკია, დავ. ჩიქოვანი, ალ. წერეთელი—ყველა ესენი ფედერალისტთა პარტიის გაელენიანი და პასუხისმგებელი წევრები იყვნენ.

აი რას ნიშნავს მსოფლმხედველობითი დომხალი. რა ლოლიკური დასკვნა უნდა მივიღოთ აქედან? აშკარაა ერთად ერთი დასკვნა—თეორიული დომხალი თავიდან მოვიშოროთ და უეჭველად დავგმოთ ის **ტრადიცია**, რომელიც რყვნიდა ჩვენს პარტიას. ბევრს დღესაც დავთარს უბნევს ჩვენი პარტიის **ტრადიცია**. ჩვენ თუ გვინდა ყოველგვარი ყალბი ბაცილა მოვსპოთ და სავსებით გარკვეული პოლიტიკა ვაწარმოოთ გარკვეულს თანამედროვე მედროვე მეტად რთულს პირობებში **ყველაზე დიდი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ ჩვენი ყალბი ტრადიციების წინააღმდეგ. ტრადიცია** ჩვენი სისუსტე და უძლურებაა, ჩვენმა **ტრადიციამ** გაბატონა პარტიაში ორპოფობა და ყალთაბანდობა.

ეს უნდა შეიგნოს ყოველმა ამხანაგმა. აქ ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენობით და სხვა. უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი ჯგუფი არასოდეს არ იცავდა ამ ტრადიციას, ის მუდამ ებრძოდა პარტიის ამ ცუდ ტრადიციებს და ვინც ჩვენვე გამოგვყვა საბედისწერო გადამჭრელს მომენტში და ვინც ჩვენთან დარჩა, მან კატეგორიულად, ერთხელ და სამუდამოთ თავი უნდა დააღწიოს ძველს ყალბს **ტრადიციებს**.

რა არის ტრადიცია?—უბრალო ჩვეულება, ზნე, კომპლექსი წარსულში გადადგმულ ნაბიჯების და აკვიატებულ აზრების. სწორედ ეს კომპლექსი მოვლენათა, ეს დაკვერული და შეჯგუფებული ნებისყოფა უნდა დაიმსხვრეს ჩვენ თუ სერიოზულად გვინდა პირნათლად ვემსახუროთ აწმყოს და მომავალს.

კომუნისტური პარტია დიდი ხნით მოისპობოდა ის რომ მსხვერპლად დასდებოდა **ტრადიციებს**. მსოფლიოში ჩვენ არ ვიცით პარტია, რომელსაც ტაქტიკა აეყვანოს ისეთ სიმაღლეზე, როგორც აიყვანა კომპარტიამ, არ ვიცით სხვა პარტია, რომელსაც მომენტის გამო დაეგმო ტრადიცია და ძირითად საფუძვლებზე აგებული მთავარი ხაზისათვის ისე ფრონტალური ხასიათი მიეცა მთელი შემოქმედებისათვის, როგორც ეს მოახერხა კომპარტიამ. ესე იგი კომპარტიამ თვითვე შესწირა ტრადიცია მომენტის საჭიროებას და ამით გაიმარჯვა მან. ჩვენ თუ გვინდა გამარჯვება, ჩვენ თუ გვინდა სიცოცხლე, ჩვენ თუ გვინდა მომავალი ჩვენ უნდა უარვყოთ წარსული ტრადიციები და შევქმნათ ბრძოლის ახალი მეთოდები და ახალი ტრადიციები, რომელსაც მაშინვე შევსცვლით, როგორც ამას ახალი ბრძოლის ვითარება მოითხოვს. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ გაყინული ტრადიცია და იგი არ შეიძლება ჩვენშიაც არსებობდეს.

ტრადიციებით მსჯელობა თავისთავად რეაქციონური მსჯელობაა, მისი დინამიკა მომავალი კი არაა, წარსულის საქმეებია. ჩვენ არ შეგვიძლიან წარსულით განვიხილოთ არსებული და მომავალი ვითარებანი. არსებითად ჩვენ ტრადიციებს უკვე გავართვით თავი, საოცარი ესიხოლოგიური ატმოსფერა გადავლახეთ რევოლიუციის ფრონტისათვის. ამ მხრივ ჩვენ უდიდესი ისტორიული საქმე შეგასრულეთ და არსებითად ჩავაყენეთ ჩვენი მოწინააღმდეგენი ისეთ იდეურ კრიზისის წინაშე, რომ ისინი აშკარად აღიარებენ თავიანთ ნაბიჯების ყოვლად შეუსაბამობას და სისულელეს. დღეს მემარჯვენე ფედერალისტების ლიდერების ფრონტი გაცილებით უფრო შერყეულია, ვიდრე თვით მენშევიკების პარტია. ჩვენს ხელთ არის უტყუარი საბუთები მემარჯვენე ფედერალისტთა ლიდერების აზრთა დიდი ცვლილებებისა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სასარგებლოდ, მაგრამ მათ მხოლოდ **ტრადიციები** უბორკავენ ხელ ფეხს და ეს ტრადიციები ღუპავენ მათ.

ამხანაგებო, იცოდეთ ყველამ, ვინც ტრადიციების გალმერთებას თავს არ გაანებებს, ან ვინც ამ ტრადიციებს ამოეფარება იგი სრულიად არაფრით აღარ განსხვავდება მემარჯვენე ფედერალისტებიდან. ჩვენი პარტიის უკანასკნელს კონფერენციაზე ამ წლის 21 ოქტომბერს ყველაზე კარგად გამოსთქვა ამხ. სოსო გედევანიშვილმა, რომელსაც პარტიაში ყველაზე დიდი ისტორია, გამოცდილება და ტრადიცია აქვს, მაგრამ რომელმაც ყველაზე მტკიცე, გარკვეული და პირდაპირი ხაზი გაავლო ჩვენ წარსულსა და აწმყოს შორის, რომელმაც სრულფუძვლიანად და შესანიშნავი პოლიტიკური სიტყვით მოუწოდა ყველა ამხანაგებს ტრადიციებიდან შორს დადგომას.

თუ ჩვენს წინააღმდეგ წინად იყო აზროვნობა და პოლიტიკა, დღეს ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ ტრადიციები და უბრალო ლანძღვა-ლანძღვა. ერთი სიტყვით ჩვენი მოწინააღმდეგენი უკვე სავსებით მოსპობილნი არიან, რასაც ვერ გამოაცოცხლებს ვერც ერთი უპასუხისმგებელი პირის პარტიის იარლიკით შეხანხლული უნიჭო პროკლამაცია.

ამ სამი წლის განმავლობაში მდგომარეობა ძირ-ფესვიანად შეიცვალა. დღეს საბჭოთა წყობილების დაუძინებელ მტრებსაც უკვირს ის წარსული პროპაგანდა-აგიტაცია, რომელსაც მემარჯვენე პარტიები ავრცელებდნენ კომუნისტების შესახებ. აქ მათ ბარბაროსებად ნათლავდნენ და ნამდვილად კულტურტრეგერების ხალხი მოგვევლინა, ქაოსის და ომის სილუეტებს გვიხატავდნენ და წესიერებამშვიდობიანობა დამყარდა, ტილებს და მიწის ჭამას გვიხატავდნენ და საკმაო წამლით, კარგი საკეებით სწორედ ეხლა აღარაა ხორველა, შავი ჭირი და სხ.

ბრძოლა თუ სკვდილი?

პარტიულ ამხანაგებს.

1.

ამხანაგებო, 1903 წელს საქართველოს რევოლიუციონერების ჯგუფის მიერ საძირკველი ჩაეყარა პარტიას, რომლის დროშის ქვეშ ჩვენ ვიმყოფებოდით დღემდე. ეს ოცი წელიწადი ჩვენი პარტიის ისტორიისა შესანიშნავის კვალით არის აღნიშნული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მატიანეში.

მეტად ორიგინალური იყო ჩვენი პარტიის მთელი წარსული. **სოციალიზმ—ფედერალიზმი** წარმოადგენდა ჩვენი პარტიის სულის დგმას, მაგრამ ამ პოლიტიკურ შემეცნებას **არ ქონდა გარკვეული მეცნიერული მსოფლმხედველობა**, რომელიც საბოლოდ ყოფილიყო ჩვენი პარტიის ყველა წევრისათვის. 1907 წელში, როცა თვით საქართველოში ჩვენი პარტიის დამფუძნებელი კრება მოხდა, სადაც ირჩეოდა ჩვენი მსოფლიმხედველობის საკითხი, პარტიის დამფუძნებელმა კრებამ უარყო რომელიმე გარკვეული სოციოლოგიური, ფილოსოფიური და ეკონომიური მსოფლიმხედველობის დასახელების საჭიროება და პარტიის წევრები მსოფლმხედველობის მხრივ განთავისუფლებულნი თავიანთ უნარის, ცოდნის და სტიქიური აღტყინებით მიდიოდნენ სოციალიზმ-ფედერალიზმამდე.

ჩვენი პარტიის პრაქტიკამ მსოფლმხედველობის **ტრადიცია** მაინც შექმნა უარყოფითი ხასიათის, ის მარქსიზმის ყოველგვარ კრიტიკას ეწაფებოდა საიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი საგულისხმიერია, რომ პოლიტიკურ ეკონომიაში ჩვენი პარტია ისეთ მარქსისტებს ებღაუჭებოდა, როგორც იყვნენ ოლმარი, ბერნშტეინი, ჰერცი, დავიდი და სხ., თუცა ამათ არავითარი საერთო არ ქონდათ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან. მარქსისტულ ატომისტურ თეორიას დაუპირისპირეთ ორგანიული თეორია, დეტერმინიზმს—ვოლიუნტარიზმი, ფატალურ სოციალიზმს აქტუალური სოციალიზმი.

ერთი სიტყვით პარტიის არსებობისათვის უეჭველად საჭირო იყო თეორია, მაგრამ თეორიის მომცემი არსად სჩანდა, არსად იყო. უკანასკნელ დრომდე სოც.-ფედ. პარტია არის პარტია, რომელსაც არ მოეპოება ერთი მსოფლმხედველობა, ფილოსოფიური ან სოციოლოგიური სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრუპის წარმოებათა 5 დირექტორი, მათ რიცხვში ბოლენი და გალბახი, გაანთავისუფლეს ოკუპანტებმა. განთავისუფლებულნი სასწრაფოდ გაეგზავნენ ესსენში, მნიშვნელოვან საქმის გადასაწყვეტად.

მაინცში ფრანგებმა გამოაცხადეს საალყო წესები და აკრძალეს ყოველგვარი მოძრაობა ქალაქში საღამოს 6-დან დილის 6 საათამდე.

ნეისსში გერმანიის პოლიციამ დაატატიმრა ვინმე ლეიხნერი, „რეინის ჯარების მთავარსარდალი“, რომელიც მიდიოდა დიურენიდან დუისბურგში. მას თან ჰქონდა დიდი თანხა ფული და იარაღი. ლეიხნერთან მიმავალი სხვა სეპარატისტები მიიმალნენ ბელგიის ბანაკში.

ბავარიის მთავრობა სამართალში აძლევს სახელმწიფოს ღალატისათვის სოც.-დემ., რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გენ. დე-მეცისთან ჰფანციის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. ბრალდებულთ სიკვდილით დასჯა ელით.

ამერიკა თანახმაა მიიღოს მონაწილეობა გერმანეთის ვალების გადახდის უნარიანობის გამორკვევაში, თუ მას ერთხმად მიიწვევენ ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები.

ლონდონის გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, ვითომც საფრანგეთმა განაცხადა თანხმობა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, მხოლოდ შემდეგის პირობებით: გერმანეთის ვალის საერთო ჯამი არ უნდა შემცირდეს, ვერსალის ხელშეკრულება არ იქნას ხელმეორედ განხილული, არავითარი ცვლილება ნატურის მოწოდებაში, ექსპერტთა კომისია ინიშნება საკონტრიბუციო კომისიის მიერ. ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა მიწვეული არიან მხოლოდ წესისა და ვადის დასანიშნავად გერმანეთის მიერ კონტრიბუციის გადასახდელად. მხოლოდ ამ პირობებით მიიღებს საფრანგეთი მონაწილეობას.

შეტონში დაატუსაღეს კომპარტიის ყველა პასუხისმგებელი მუშაკნი. წარმოებებზედ დიდი მღელვარებაა გამეფებული.

ახენში გერმანიის პოლიცია გამოვიდა. მუნიციპალიტეტში მყოფ სეპარატისტების წინააღმდეგ. სეპარატისტებს მიეშველა იარაღით ბელგიის ჟანდარმერია. ქალაქში გამოცხადდა საერთო გაფიცვა. დუისბურგში ბრძოლა გრძელდება. აიდერნამში სეპარატისტები დამარცხდენ და განდევნილ იქნენ ქალაქიდან.

ახენიდან განდევნილი სეპარატისტები ბელგიის ჯარის დახმარებით ისევ შევიდა ქალაქში. ბელგიელებმა აკრძალეს გერმანეთის პოლიციაზე იარაღის ხმარება.

ევროპის კრიზისი

სამხრეთ აფრიკის მთავრობის თავმჯდომარემ ცნობილმა სმუტმა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ შემდეგი სთქვა: ევროპის უმეტეს ნაწილს დაღუპვა მოელის; მხოლოდ სწრაფსა და გადამჭრელ მოქმედებას შეუძლია მისი ხსნა. ის ნანობს, რომ ხელი მოაწერა ვერსალის ზავს, რომელმაც ევროპა დღევანდელ მდგომარეობამდი მიიყვანა. სამხედრო მზადება ანადგურებს ევროპის ქვეყნებს, მიუხედავად გერმანიის ჯარის დაშლისა, ევროპაში მილიონ ნახევარჯერ უფრო მეტი ჯარია დღეს, ვინემ 1914 წლის აგვისტოში.

ევროპის ეხლანდელი მდგომარეობა მთელ ქვეყანას ეშუქრება. საჭიროა სახელმწიფოების ფართო კონფერენციის მოწვევა; განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოების, რომელნიც დაინტერესებულნი არიან კონტრიბუციის საკითხით. რომელიმე სახელმწიფოს კონფერენციაში მონაწილეობის მიუღებლობამ ხელი არ უნდა შეუშალოს მის მუშაობას. ამერიკის მონაწილეობას კონფერენციაზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

6.000.000,000 გირვანქა სტერლინგის გადახდა გერმანიას არ შეუძლია. მას ორი წლის ვადით სესხი უნდა მიეცეს, რომ თავის ფინანსები გააუმჯობესოს.

რურის დაპყრობა არის მიზეზი იმისა, რომ გერმანეთისათვის ვალდებულებას არ ასრულებს. საჭიროა რურის ოკუპაციას საჩქაროდ ბოლო მოეღოს. ვერსალის ზავი ახლა ქაღალდის ნაგლეჯად იქცა. ინგლისის ხალხმა არ უნდა ისარგებლოს რურის ოკუპაციის ნაყოფით.

ისტორია საფრანგეთს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ინგლისმა და ევროპის პატარა სახელმწიფოებმა გერმანიის დაშლა დიდ უბედურებად უნდა ჩასთვალონ.

ევროპა მოითხოვს კარგ მოპყრობას გერმანიისადმი. ინგლისმა ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ გერმანიას დაეხმაროს და ის მოსალოდნელ უბედურებას გადაარჩინოს.

საფრანგეთის შეიარაღება ძლიერ აფიქრებს ინგლისს ამას გარდა, საფრანგეთი დიდძალ ფულს აძლევს პატარა სახელმწიფოებს, რომელნიც გერმანიის გარემო არიან. ინგლისისა და ამერიკის გულგრილობას საფრანგეთისადმი შეუძლია კიდევ უფრო გააღვიოს მისი მადა.

ახალი ამბები

— **მთლ. სახ.-სამეურნეო გადასახადის აკრება.** ა. კ. ფინსახკომისარიატმა დაავალა საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს, რათა ს. ს. რ. ფარგლებში შეეკრიბა მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი ამა წ. ოქტომბრის თვის

მხოლოდ სეით დევდარიანის ტიპებს არ შეუძლიანთ დაინახონ ის, რაც არის და მხოლოდ ასეთები ანთხევენ კიდევ საწამლავს ჩვენი საზოგადოების შემეცნებაში.

აღმშენებლობითი მუშაობის მხრივ მხოლოდ ამ სამი წლის განმავლობაში ჩაეყარა საფუძველი მთელი ეკონომიკის ნაციონალიზაციას, ესე იგი კოლონიალურ მდგომარეობის მოსპობას. რუსეთის ბატონობის არც ერთს მომენტში და კიდევ მეტად მენშევიკების ბატონობისას არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა საქართველოში საკუთარი, ადგილობრივი მრეწველობითი მუშაობის სასარგებლოდ. 3 წლის კომუნისტების ისტორია ამ მხრივ უდრის სხვა რეჟიმების მთელ ასი წლის ისტორიას.

თუ კომუნისტებმა ამ მხრივ დიდი საქმეები გააკეთეს უფულობის და გაჭირვების დროს, რა იქნება მათი მუშაობა შესვენების და ფულიანობის დროს?

დღეს მთელი საქართველო ელექტროფიკაციის პერიოდშია გახვეული. წყლის ძალას ამოძრავებენ ტფილისში, ბათომში, რაჭაში, გურიაში, ახალციხეში, სამეგრელოში. რა არის ეს თუ არა უდიდესი და უმთავრესი ნაბიჯი კოლონიალურ მდგომარეობიდან თავის დაღწევის და მთელი ეკონომიკის ნაციონალიზაცია?

ჩვენ არ მოგვყავს აქ სხვა უამრავი მასალა ამ დარგიდან. ჩვენ არ ვეკამათებით დევდარიანს, რომელსაც კაი ხანია ხელიდან გაუვარდა პოლიტიკური საქმე და პრინციპებიდან ლათაიებზე გადავიდა. ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენს ამხანაგებთან, რომელნიც უკან კი არ იცქირებიან, არამედ მომავალს უყურიან თვალს და რომელსაც 7 ნოემბერს, ამ უდიდეს ისტორიულ დღეს ტფილისში მოველით პარტიულ ყრილობაზე.

7 ნოემბერს ყრილობის დღის წესრიგში გენერალური საკითხებია დასმული და ჩვენ გვინდა იქ კი არ გავჩერდეთ, სადაც გუშინ ვიყავით, არამედ ცხოვრების ახალ ამოცანებს ალღო ავართვათ და ისტორიულ გაკვეთილებს ისტორიულად ვემსახუროთ.

რა მომენტში ვიმყოფებით? რა ამბებია, რა უნდა ვაკეთოთ?

თედო დლონტი.

განმავლობაში ორი ტრილიონი (2.000.000,000.000) მანეთი. აღნიშნულ თანხის ანგარიშში ოქტომბრის 24-მდე შემოვიდა:

ტფილისის მაზრაში	405.535.400.000.	მან.
ბორჩალოს „	400.000.000.000	„
სიღნაღის „	372.286.100 000	„
ახალქალაქის „	230.529.097.000	„
გორის „	180.000.000.000	„
დუშეთის „	162.750.000.000	„
ახალციხის „	162.101.134.000	„
თელავის „	67.000.000.000	„
სამხ.-ოსეთის „	39.877.900.000	„
თიანეთის „	17.299.503.000	„
და სულ შემოვიდა.	2.037.479.134.000	„

ა. | კ. ფინსახკომისარიატის დავალება შესრულებულია 100 პროც.-ზე მეტი.

— **მოხსენებები.** ორშაბათს, ოქტომბრის 29 საღ. 7 ს. საექიმო საზოგადოების დარბაზში (გიორგის ქუჩა 4) მოხდება მორიგი საჯარო კრება საქართველოს სომეხთა საისტორიო საეთნოლოგიო საზოგადოებისა, მოხსენებები: 1) სტეფან მალხასიანისა „გაყოფის ხელოვნება მხითარ გოშის სამართლის წიგნში“ და 2) ლეონ მელიქსეთ-ბეგისა „სომეხთა კოლონიზაციის ისტორიის ერთი ფურცელი ტფილისში (კანაკანის ხელნაწერის გამო)“.

— **კ. აღმასკომის სამმართველოს განყოფილების გაუქმება.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა: გაუქმებული იქნას სამმართველოს განყოფილება, სალიკვიდაციო კომისია არჩეულია.

— **ტფილისის აღმასკომის მეჯვრისხევის თემის შეფათ გამოცხადება.** მეჯვრისხევის (გორის მაზრა) თემის მიერ თავის შეფათ არჩეული იქნა ტფილისის აღმასკომი.

— **დახმარება ტფ. საბავშო სახლებს.** მეჯვრისხევის თემმა ტფ. საბავშო სახლებს დახმარება აღმოუჩინა 60 ფუთი ხილეულობით.

— **ბანდიტთან ბრძოლაში დაშავებულ მილიციელის დახმარება.** ყარაიახის რაიონის მილიციონერს მაშადი-შირინ-მოლა მურად-ოღლს, რომელმაც ბანდიტებთა ბრძოლაში დაკარგა ცალი ხელი, ტფ. აღმასკომმა აღმოუჩინა ერთ დროული დახმარება ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით.

— **პედაგოგიურ საბჭოების სხდომები.** მცირე წლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილებამ დაადგინა: თვითეულ თავის ქვემდებარე საბავშვო დაწესებულებებში მოაწყოს პედაგოგიური საბჭოების სხდომები, სოც.-აღზრდის მთავარმართველობის და ხსენებულ განყოფილებების გამგეთა მონაწილეობით, წინასწარ მუშაობის გეგმების გამოსამუშავებლად.

— **შრომის სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია.** დღეს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლის დარბაზში გაიხსნება ტფ. შრომის სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია, რომელიც გაგრძელდება ოთხ დღეს.

— **ბავშვთა მათხოვრობის მოსასპობად.** განკომისარიატთან არსებულმა მცირე წლოვანთა უფლებრივ დაცვის განყოფილებამ დაადგინა: ბავშთა მათხოვრობის და პროსტიტუციის უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლა შეუკავშიროს შემდეგ დაწესებულებებს: სოც. უზრუნველყოფის, შრომის, ჯანმრთელობის კომისარიატებსა და სიმშილით შედეგებთან მებრძოლ კომისიას.

— **ბინის გაქურდვა.** 25 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. შალვა ლომიძეს ბინა, მცხოვრები მუხრანის ხიდთან მდებარე ბაღში, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები.

— **უცაბედი სიკვდილი.** 25 ოქტ. სუამის ქუჩაზე მიმავალი ქალი უცებ გარდაიცვალა, რომლის გვამიც გარდაგზავნილია მთავარ საავადმყოფოში. ვინაობა ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული.

— **დუქნის გაქურდვა.** 24 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. თედო ცირიკიძის დუქანი მდებარე პლეხანოვის პროსპექტი № 139-ში, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა საქონელი. ბოროტ-მომქმედი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენა.** დღეს მე-10 ტეხნიკუმის შენობაში (კამოს ქ. № 52), გაიხსნება ტფილისის შოომის სკოლების მოსწავლეთა გამოფენა რომელიც გაგრძელდება ოთხ დღეს

— **დახმარება გერმანის პროლეტარიატს.** მე-10-ე კომისარიატის კომუჯრედის სხდომამ. უპარტიო ამხანაგების [illegible] ... რის შეკრიბა შემოწირულება გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

— **მისალმება.** შრომის კომისარიატმა ჰიათურიდან მიიღო მისასალმებელი დეპეშა სრ. საქართველოს სამთომადნო მუშათა კავშირის მესამე ყრილობისაგან.

— **შრომის კოდექსის უბის წიგნი.** ამ ჟამად იბეჭდება და გამოვა შრომის კოდექსის უბის წიგნი. ქართულ-რუსულ ენაზე.

— **შრომის ბირჟა.** 16 ოქტომბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—301—უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—130 უმუშევარი. გაიგზავნა სამუშაოზე—56 უმუშევარი.

— **ვალიუტის კურსი.**

27 ოქტომბერი.

ჩერვონეცი	78,500,	მ.
სტერლინგი ეფექ.	73,000,	„
ჩეკი.	66,000	„
დოლარი ეფექ.	16,200	„
ჩეკი.	15,000	„
ოსმალური ლირა	8,000	„
საბჭოთა ფული	12,000	„

პარტიაში

კ. ახალ-ხენაკი. მაზრკომის პასუხის მგებელმა მდივანმა ამხ. ა. ნადარეიშვილმა იკისრა ინიციატივა, დაეიდგა წარმოდგენას ქალაქის საბჭოთა თეატრში. ეტვს გარეშეა, რომ ამხანაგი ღირსეულად შეასრულებდა ამ საქმეს, როგორც საკმაოთ გათვითცნობიერებული და ენერგიული ამხანაგი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგს ამ მხრივ აღმოუჩნდა აქტიური დამხმარე ამხანაგებიც. მათ შორის აღსანიშნავია ამხ. აკ. რატიანი და მ. ქართველიშვილი. რომლებმაც ჩამოიყვანეს ქ. სამტრედიიდან კარგად მომზადებული სცენის მოყვარეები: მ. მიქელაძეს ასული, ზ. ურუშაძე და ა. მამაგეიშვილი.

ადგილობრივი ძალებიდან მონაწილეობას ღებულობდნენ: ქს. დანელია, პ. ბირკაია, გრ. თევზაია და გ. ფაღავა. დიდი მადლობის ღირსნი არიან როგორც სამტრედიელი ამხანაგები, აგრეთვე ადგილობრივი სცენის მოყვარეებიც. თანაგრძნობისა და უსასყიდლოთ მონაწილეობის მიღებისათვის.

წარმოდგენის დღეს საღამოს 7 საათიდან თეატრის დარბაზში უკრავდა მუსიკა. საზოგადოება ბლომათ მოაწყდა დარბაზს. ბილეთების ფასები იყო მინიმალური—სცენა მოწყობილ იქნა არაჩვეულებრივად. სრულ 9 საათიდან დაიწყო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა 4 მოქ. დრამა „ციცინათელა“ შიუკაშვილის. სცენის მოყვარეთ ეტყობოდათ მომზადება.

დამსწრეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ: მ. მიქელაძე, რომელიც ასრულებდა ციცინათელას როლს, ქს. დანელია ბაბოს როლში და ზ. ურუშაძემ—ლევანის როლში. მათმა ფსიქიურმა განცდამ თავთავიანთი როლების შესრულების დროს დიდი სიმპატია და შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებში.

საერთოთ, პიესა ჩინებულად ჩატარდა.

აკ. ხ—რია.

ჩვენი სკოლა

ჩვენი საბავშო ბაღების გარშემო.

არა ერთხელ აღგვინიშნავს ის კრიზისი, რომელსაც განვიცდით ჩვენ საბავშო ლიტერატურაში. ამის შესახებაც მსურს ამ ჟამად საუბარი.

ჩვენს სკოლებს დღეს აუარებელი მასალა ესაჭიროება, თითქმის წლის ყველა დროისა და საგნებისა. შრომის სკოლებს რომ ესაჭიროება, ამას თქმა აღარ უნდა, მაგრამ დანაკლისს უფრო საბავშო ბაღები განიცდიან. მასწავლებელი ბავშს ხშირად ესაუბრება და არც კი იცის, რა მასალა და ლექსები გააცნოს და არც კი მოიპოვება ისეთი წიგნი, რომლითაც ის იხელმძღვანელებს. ამიტომ ის ხშირად თავის ფანტაზიას ამუშავებს და ბავშს ისეთ საგანზე ესაუბრება, რაც შეიძლება არც კი შეეფერებოდეს მის (ბავშის) გონებას.

ერთხელ შემთხვევა მქონდა „ტრიბუნის“ ფურცლებზე შევხებოდი იმ მასწავლებელთა კომისიას, რომელიც დაარსდა შარშან განათლების მუშაკთა საბავშო ბაღის ქვედა სექციასთან, რომლის მიზანიც იყო შეეკრიბნა და შეედგინა საჭირო მასალა და გამოეცა კიდევაც. ამ კომისიას აღტაცებით და ქებით შეეგებნენ და ბევრი სატყვებიც დაიხარჯა მისი აუცილებლობისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ ამ კომისიას ბევრი არ გაუკეთებია.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ საბავშო ბაღებს ახალი სკოლის დებულებების განმარტების სახელმძღვანელოებიც კი არ მოიპოვება ქართულად, რომ ახლად შესული მასწავლებელი, გაეცნოს სისტემას მშობლიურ ენას. ნუ თუ აქამდის არ უნდა გადათარგმნილიყო ბლონსკი, (გარდა ნარკვევისა, რომელიც გამოიცა) ფრებელი, მონტესორი და სხვა ბევრი ამისთანეები?

აი ასეთ პირობებში შეხვდა წრეულს სამოსწავლო წელს საბავშო ბაღები. უკანასკნელნი ბავშებით აივსენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მშრომელი ხალხი უკვე განათლებისაკენ ისაწრაფვის და დიდის იმედით და სიხარულით ჰგზავნის თავის შვილს სასწავლებელში. ასეთ დროს მასწავლებლობა კი მოკლებულია სათანადო პედაგოგიურ ლიტერატურას საბავშო ბაღებისათვის.

ეხლა გადავავლოთ თვალი ბაღების მეორე მზრუნველს, ე. ი. საბავშო ლიტერატურის გამომცემლობას.

ის პერიოდული გამოცემანი როგორიც იყო „ზამთარი“, „შემოდგომა“, და ჯეჯილ-ნაკადული, ჩვენ გავარჩიეთ და აღვნიშნეთ რომ მისი მასალა დაუკმაყოფილებელია როგორც სკოლებისათვის ისე განსაკუთრებით ბაღებისათვის.

სამმა ავტორმა ჩვენს ახალს სკოლებს და მოზარდ თაობას მისთავაზა „ჩვენი სკოლა“.

ეს წიგნი იმდენად არის სუსტი, რამდენადაც თვით შემდგენლებს მოუხდენიათ თავიანთ თავზე მწერლობის ექსპერიმენტი. გარდა სამიოდე ორიგინალური ლექსისა, არც ერთს ორიგინალურს მოთხრობას არ შეხვდებით ამ დიდ ტანიან წიგნში.

ამის მასალაა: ან გადმოთარგმნა რუსულიდან, ან გადმოკეთებული თვით შემდგენლების მიერ, ისიც ძველი პედაგოგიური ენით.

განა უფრო საინტერესო არ იქნებოდა ნათარგმნთან ერთად საბავშო მწერლების ორიგინალურ ნაწერებს უფრო მეტი ადგილი დაეჭირათ? ნუ თუ ახალს და უფრო საინტერესოს არაფერს მოგვცემდნენ: მიმქრალი, ცქვიტი, შიო მღვიმელი, ქუჩიშვილი, სიხარულიძე, მჭედლიშვილი და სხვები?

ორიოდე პირი ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რაც უნდა დაუღალავად იმუშაონ.

მე მგონი დროა ჩვენს მოზარდ თაობას ვანახოთ მიმქრალის, ცქვიტის, შიო მღვიმელის, ქუჩიშვილის და სხვათა სრულ ცალკე წიგნათ გამოცემული ნაწერები.

საბჭოთა ხელისუფლება სდგას მოზარდ თაობის აღზრდის საადარაჯოზე და დარწმუნებული ვართ, ახლო მომავალში არ გვექნება ის დანაკლისები, რომლის წინაშე სდგანან ამ ჟამად საბავშო ბაღებისა და სკოლების გარშემო მომუშავენი.

ანღანი.

მუშათა ცხოვრება

ბათომის ფოსტა-ფელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრება.

ბათომის და მისი ოლქის ფ.-ტ. მოსამსახურეები დიდ გაჭირვებას განიცდიან ეკონომიურად არ მიუღიათ სექტემბერში ზედ-მეტი საათების ნამუშევარი და კვირა უქმი დღეების ხელ ფასი, რომელიც უნდა მიეღოთ ოქტომბრის პირველ რიცხვებში. გადის 18 დღე, არაფერი ისმის ცენტრიდან კრედიტის გახსნის შესახებ, თუმცა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ და კანტორის გამგემ არა ერთხელ აცნობეს დეპეშით სახკომფოსტელს კრედიტის გახსნის და მუშა-მოსამსახურეთა უკიდურესი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ჯერ პასუხი არ არის, ცენტრი სდუმს და პროვინციის მუშა-მოსამსახურეები კი დიდ გაჭირვებას განიცდიან. საინტერესოა ვიცოდეთ, რას შვრება ის ორგანო, რომელზედაც დამოკიდებულია მუშა-მოსამსახურეთა ბედიღბალი, ჩვენი უწყება ისედაც ჩამორჩენილია სხვა უწყებების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მხრივა, თავის დროზე არ გვაძლევენ იმასაც, რაც ჩვენთვის განსაზღვრულია.

ამის შემთხვევა სისტემატიური ხასიათისაა ჩვენს უწყებაში, გვიხდება უმნიშვნელო გროშებისთვის სარაიონო გამგეობის კარების წინ ხეტიალი. საჭიროა მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო ასეთ არა ნორმალურ მოვლენებს, რომლებსაც საბჭოთა ხელის უფლებაში არ უნდა ექნეს ადგილი. საჭიროა ზომების მიღება ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი გიორგი ტაბიძე.

ბრიტანეთში

ქ. ონი.

განათლების კომისარიატის ნებართვით ა. წ. ქ. ონში 3. ლანდიამ გახსნა ორ თიანი საბუხჰალტერო კურსები. ამ ფრიად სიმპატიურ და მნიშვნელოვან საქმეს დიდი სიამოვნებით შეხვდენ ადგილობრივი დაწესებულებები, განსაკუთრებით განათლების განყოფილების გამგე, რომელმაც აღმოუჩინა დახმარება და კურსები მოათავსა მთლიან შრომის სკოლაში.

საბუხჰალტერო კურსებზე ლექტორებათ იყვნენ მოწვეული: განათლების განყოფილების გამგე ლიკო მეტრეველი, მთლიანი შრომის სკოლის გამგე გრიგოლ ბენდუქიძე (სპეციალური ცოდნით აღჭურვილი, პოლიტეხნიკურის ლექტორი პეტრე ლანდია, (სპეციალური ცოდნით აღჭურვილი).

კურსებზე იყვნენ მიღებული 28 მსმენელი. მეცადინობა სწარმოებდა საღამობით 4—7 საათამდე.

კურსებზე მეცადინეობა პრაქტიკულად იყო დაყენებული, რაც მსმენელებს დიდათ აინტერესებდა. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ დაიწყო გამოცდები, რომელსაც დაესწრო განათლების განყოფილების მიერ ოფიციალურად დანიშნული წარმომადგენელი ქ. ონის ფინანსიური განყოფილების გამგე ამხ. გიორგი ჯაფარიძე, გამოცდების შემდეგ კურსების დამთავრების ატესტატები მიიღო 19 მსმენელმა.

განათლების კომისარიატი კარგს იზამს, თუ მეტ ყურადღებას მიაქცევს სპეციალური ცოდნის მხრივ ჩამორჩენილ მაზრას და გახსნის სპეციალურ კურსებს რაც დიდად ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ დაწესებულებათა ცხოვრების მოწესრიგებას და მაზრის ეკონომიურად აღორძინებას და აყვავებას.

მსმენელი.

ბიბლიოგრაფიის მაგივრ

(პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ ახლად აღმოჩენილი მეხუთე მეექვსე საუკუნის მწერლობის ტექსტები იხ. ტფ. უნივერსიტეტის მოამბე II. 1922—1923).

მეხუთე-მეექვსე საუკუნის ქართული მწერლობის ტექსტების აღმოჩენას ქართული კულტურის ისტორიისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ქართული ენის განვითარებისთვის. პირველი გარემოება ცხად ჰყოფს, რომ მეხუთე-მეექვსე საუკუნეში უკვე თარგმნილ ყოფილა ბიბლიის წიგნები ძველი აღთქმისა **შექმნათა წიგნი და იერემიას წინასწარმეტყველება**, ხოლო ახალი აღთქმისა **მათეს, მარკოზის** და **იოანეს სახარებანი** და **საქმენი მოციქულთა** (აპოკრიტნი), რაიც საგონებელში ჩააგდებს ზოგიერთ ნიჰილისტს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბიბლიის თარგმნა იგულისხმებს მწერლობის ისეთ პერიოდს, როცა მწიგნობრობა გასცილებია მოსამზადებელ ხასიათს, აგრეთვე იმასაც, რომ ჩვენ მეზობლად სომხეთში იმ დროს სომხური მწერლობა უკვე აყვავების ხანში იმყოფებოდა, ეჭვ მიუტანელად უნდა ითქვას, რომ მეოთხე მეხუთე საუკუნეშიაც უნდა ყოფილიყო ქართული მწერლობა პარალელად სომხურთან ერთად, თუ დამოუკიდებლივ არა, სომხური ეკლესიებრიობის გავლენით მაინც, რაიც დიდი იყო მეშვიდე საუკუნემდე. მაშასადამე ქართული პალიმფსესტების ტექსტები უტყუარი საბუთია ქართული საქრისტიანო მწიგნობრობის, კულტურის სიძველისა.

რაც შეეხება ქართული პალიმფსესტების ტექსტთა ენის ვითარებას, ეს გარემოება კიდევ უფრო აფიქრებინებს, რომ ქართული მწერლობა უნდა არსებულიყვეს უფრო ძველ პერიოდშიაც, რადგანაც მეხუთე-მეექვსე საუკუნის ახლად აღმოჩენილი ქართული ძეგლები ენის ნორმების ე. ი. წერა ლაპარაკის მხრით მეტისმეტად დაუდგრომელია. ერთი ღიოს შესანიშნავი მხარე მაშინდელი ენის ვითარებისა ის არის, რომ **ვ**ვ. ვ სახელნაცვალი (რასინ პრონომინალ) ძირების **ბ**—აე გატლანქებულა **ხ**—ანად ქცევითა, მაგრამ მისი ხმარების პრაკტიკა დიდ რყევას განიცდის ასე რომ **ხ**—ანი ზოგჯერ ბოლოცმეტად დაჰრთვია სიტყვის სხვა ნაწილს, ე. ი. არა სახელზმნასაც, რის მაგალითსაც წარმოადგენს **ხოუფროს** (გვ. 379) და **ხოუმჯობეს** (გვ. 381). **ხ**—ანის მერყეობის კარგი დახასიათებელია ოთხი შემთხვევა, როცა იხმარება, მაგ. **ხცა** (გვ. 372), **ხეხკართ** (გვ. 390), **ხუავ** (გვ. 387) და **მოხკალთ** (გვ. 390). ორი შემთხვევა კიდევ ისეთი, როცა არ იხმარება, მაგ. **დაკალთ** (გვ. 384) და **დაკლა** (გვ. 372). რომელია მართალი? განა **შეხკართ** და **მოხკალთ** ფორმები არ გვაფიქრებინებს, რომ **დაკალთ** და **დაკლა** **ხ**-ან ნაკლები ფორმებია. ნუ თუ ამას არ ადასტურებს აღმოსავლური ქართული, რომელიც **დაჰკალთ, დაჰკლა** ფორმებს მოითხოვს, **ხ**-ანის ხმარების წესი კიდევ მოითხოვდა ეს ორი ზმნაც **ხ**-ანით გამოთქმულიყო (დახკალთ, დახკლა). მაშასადამე ხანმეტი კი არა, ხან ნაკლებიც ყოფილა და ტექსტების ენის მარტო ხანმეტად მონათლა სინამდვილეს არ შეეფერება. გიორგი მთაწმინდელის ვედრება, **ხანმეტნიცა... გუნით დაწერეთო** (გვ.352) უფრო მუხლმეტად გასაგებია.

მოგეხსენებათ **ხ** უცვლელად რჩებოდა არა მარტო რბილი ხმების წინ, არამედ მაშინაც კი, როცა ზმნის უღვლილების სახე არ იყო ურთიერთობრიობის მატარებელი. პირველის მაგალითია **ხცა** (გვ. 372), ხოლო მეორისა **ახზდეგით** (გვ. 390). მაგრამ ორი შემთხვევა არის, როცა **ხ** სულ არა სჩანს, მაგ. **აღდეგ** (გვ. 373) და **ტიროდეს** (გვ.390). ნუ თუ აქაც არ უნდა ყოფილიყო **აღხდეგ** და **ხტიროდეს?** მათ ნაცვლად ხომ აღმოსავლური ქართული მოითხოვს **სცა, აღხდეგით, აღხდეგ** და **სტიროდეს** ფორმებს. აი კიდევ ნიმუში **ხ**-ანის რყევისა მაგალითად **ხიპოვა** (გვ.384) და **ხპოვოთ** (გვ. 379) ფორმებთან ერთად არის **პოვიან** (გვ. 378) და **პოვიხ** (გვ. 379) ფორმებიც, რაც აგრეთვე ხან ნაკლებია. ასე რომ თუ გამოვსტოვებთ **ხიპოვა** ფორმას, რაც ხანმეტია, უნდა ყოფილიყო **ხპოოთ**, (გვ. 377) **ხპოვიან, ხპოვის,** რაიც შემდეგ მეათე მეთერთმეტე საუკუნეში უნდა შეცვლილიყო **ჰპოოთ, ჰპოვიან** და **ჰპოვის** ფორმებად, როგორც აღმოსავლური ქართული მოითხოვს. **ხპოვოთ** ფორმა ხომ ერთი ორად შეიცავს უშვერ გამოთქმას, რათგანაც ო-ნის წინ **ვ**-ინ არ იხმარება. გიორგი მთაწმინდელი კარგად მოქცეულა, როცა უთქვამს, **ვითა აქა ჰპოოთ** (გვ. 352).

ქართული ენა, როგორც იაფეტიანთ მოდგმისა, სიტყვას ხშირად გამოსთქვამს **მ**-ან თავსართის საშუალებით. ორი ფორმა არის ძეგლებში ასე გამოთქმული **მშვილდი** (გვ. 371) და **მსუჟანი** (გვ. 384), ხოლო ერთი ფორმა **ტრედებსა** (გვ. 387) თვინიერ **მ**-ანის. ამ თვისებას ენისას აღმოსავლური ქართული მტკიცედ იცავს დღესაც, მაშასადამე **ტრედებსა** ფორმა **მ**-ან ნაკლებია. დასავლელი გრამატიკოსები, რომელნიც **მ** თავსართს ერეკებიან აქ მოყვანილ შემთხვევას უთუოდ გამოიყენებენ თავიანთი გრამატიკული პარტიკულარიზმის საბუთად.

ძველ ქართულ მწერლობაში არის **ჰე** ასო, რომელიც **უ**-ნის შემდეგ იხმარება თითქოს იმისთვის, რო **უ**-ნ არ გამოითქვას **ვ**-ინად, მაგ. **ჩუენ**. ძეგლის ტექსტში ხსენებული მოთხოვნილება დაცულია **უ**-ნის გაშლით **ოუ** ხმად, რის შემდეგაც იწერება უბრალო **ე** მაგ. **ქოუეყანასა ზა** (გვ. 371). მაგრამ იმავ ძეგლებში არის ისეთი შემთხვევაც, როცა ასო **ჰე** იხმარება მერყევი მართლწერით იმ სიტყვებისათვის, რომელთაც დაბოლოება არის **ე**. მაგალითად **დღე** (გვ. 373) და **დირე** დაწერილია **ჰე** ასოთი მეორე შემთხვევაში იგივე **დღე** (გვ. 373) და **დირე** (გვ. 276) დაწერილია მარტივად, ე. ი. **ე** ასოთი. ასეთივეა ორჯერ ხმარებული **ხოუმჯობეს**, რომელიც ერთსა და იმავე 381 გვერდზე იწერება ისეც და ასეც.

ძველ მწერლობაში არის კიდევ **ჰიე** ასო, რომელიც იწერებოდა და ზოგჯერ არ ითქმოდა, ხოლო თუ გამოსათქმელი იყო, გამოითქმოდა, როგორც **ი**. ძეგლში ორჯერ არის ხმარებული **ხოუფროს** (გვ. 377 და 379), რომელიც იწერება როგორც **ჰიე** ასოთი, ისე უიმისოდ.

არ შეიძლია არ მოვიხსენო კიდევ ერთი წინააღმდეგობა, რომელიც ეჩნევა ნამყო დროის დაბოლოებათა ხმარების წესსა. ძეგლში ნათქვამია **მიხიქცენ და წარვიდეს მწყემსნი იგიო** (გვ. 382). ნამყო დროის დაბოლოება უნდა იყვეს **ეს**, აქ კი ერთ შემთხვევაში **ენ** არის, რაიც ხმათა ცვლის ნაყოფია დარჩენილი დასავლურ ქართულში, სადაც იგივე ფორმები მდაბიურად იხმარება **მიიქცენ და წარვიდენ** ნაცვლად **მიიქცნენ და წარვიდნენ** ფორმებისა. მაშასადამე უნდა ყოფილიყო **მიხიქცეს და წარვიდეს**. მეათე მეთუთხმეტე საუკუნეში მთაწმინდელებმა ზანმეტი გააძევეს, სადაც საჭირო იყო **ჰაედ** შესცვალეს, ხოლო **ჰაე** რბილი ხმების წინ **სანად** გამოსთქვეს. ამის მიხედვით **მიხიქცენ** როგორც მქონებელი ხანმეტისა, უნდა შეცვლილიყო **მიიქცეს** ფორმად.

დასასრულ ძეგლში იპოება ორი ფორმა, რასაც თვით ენისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა. პირველი არის **შიდა** თანდებული, რომელიც **დ**-ონის **ნ**-არად ქცევით გამოითქმოდა **შინა** (მაგ. მაღალთაშინა), ხოლო მეორეა განსაკუთრებული შემთხვევა სახელ სართის ხმარებისა მრავლობით რიცხვად, **თვალსა შიდა** (გვ. 379) დღეს შემოკლებით ითქმის **თვალში** ხოლო დასავლეთში აგრეთვე შენახულა ფორმები **თვალშიდ, თვალშიდაც**. ისე კი **შიდა** უცვლელად დარჩენილა, როგორც გეოგრაფიული ტერმინი მაგ. **შიდა ქართლი**. სახელსართის მრავლ. რიცხვად ხმარების ღონე იმაშიაც მდგომარეობს ზოგჯერ, რომ ერთი ორად გამოითქმის სახელსართი მაგ. **დიდ დიდი** მაგრამ ის სახელ არსი, რომელსაც დაერთვის, იხმარება მხოლ. რიცხვად. ასეთია მაგ. **დიდ-დიდითა თევზითა** (გვ. 387. **შიდა** თანდებულის მაგიერ ძეგლში იხმარება **შინა** მაგ. **თოუალსა შინა** (გვ. 376), ამის გამო ეჭვი მაქვს, აქაც ხომ ისეთი ამბავი არ არის, როგორც დაჰმართნია **მიხიქცენ** ფორმას, რომელისაც **ნ**-არს დაჰნაცელებია **ს**-ან, რათგანაც გადამწერის სალაპარაკო ენა მოითხოვდა.

ასეთია ზემოხსენებული ძველი ტექსტების ფორმის ხასიათი. აკადემიურად ურყევი ნორმების მქონებელი ტექსტიც უნდა ჰქონოდა მაშინდელ ქართულსა, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ არსადა სჩანს. ამას შემდეგ საკვირველი აღარ არის, რომ შეუძლებელი გამხდარა ზოგიერთი კლასიკური ნაწარმოების დედნის აღდგენა. მაგალითად ათას ჯერ ნაწვალებ ნაკირკიტებ **ვეფხის ტყაოსნის** ტექსტს ჯერ კიდევ ემჩნევა ხელი უვიცობისა, რასაკვირველია, არა ავტორის. გადამწერმა, თუ რედაქტორმა არიცის სახელზმნის ულვლილება (შესხდენ მეფე და ავთანდილ, მ. 96), არც ის თუ, რომელი უნდი იყვეს საკუთრება ავტორისა **რაცა** თუ **რამცა** (რაცა გიმძიმთ, ანუ **რამცა** გეკურნების, მ. 126), [illegible] ავრეთვე ის თუ, რამდენად შესაფერისია ფორმები ვიმ ძიმთ და გეკურნების (იქვე) და სხვა ბრავალი.

მეხუთე მეექვსე [illegible] საქართველოში ქართული ენა უკვე შესული ყოფილა, ამ ფაქტს ადასტურებენ [illegible] ლა პოლიმსენტებიც, რომელიც [illegible] ლობრივ მკვიდრს, რადგანაც, ყოველად შეუძლებელია ძირითად ქართულში ყოფილიყვეს მაშინ ისეთი რყევა, თუ [illegible] მივხედავთ ძეგლების ტექსტების და აღმოსავლური ქართულის ფორმების ერთნაირობას

პეტრე მირიანიშვილი.

ხელოვნება

სახელმწიფო თეატრი—„აიდა“.

მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლით, კომპოზიტორმა ვერდიმ მოგვცა იშვიათი მაგალითი ადამიანისა, რომელიც ქება-დიდებისაგან ერთ ადგილას კი არ ჩერდება, არამედ ისწრაფის უფრო წინ, რათა გააფართოვოს თავისი ჰორიზონტი. ნიჭიერი კომპოზიტორი ვერდი დიდი ხანია ცნობილია და პოპულიარული თეატრალურ საზოგადოების ფართე წრეებში არა მარტო სამშობლოში, იტალიაში, არამედ მთელს ევროპაში. საზოგადოებაში მან სახელი მოიპოვა ჯერ კიდევ „აიდა“—მდე დაწერილ ოპერებით, როგორიც არის: „რიგოლეტო“, „ბალი-მასკარადი“, „ბედის ძალა“, „ტრუბადური“ და ბევრი სხვა, ხოლო მისი ოპერა „ტრავიატა“ ხომ თითქმის მუსიკაში ახალმა მიმართულებამაც კი იცნო. მაგრამ სერიოზულ მუსიკალურ კრიტიკოსთა შორის მან სახელი მოიპოვა განსაკუთრებით „აიდის“ დაწერის შემდეგ. აქ კომპოზიტორი წავიდა ახალი გზით და ორკესტრს დაუთმო დიდი, თითქმის უმთავრესი, ადგილი. ძნელი საპოვნელია კიდევ სხვა ოპერა, სადაც ვოკალური და საორკესტრო მელოდიები ისე კარგად იყოს ერთს მშვენიერს აკკორდში გაერთიანებული, როგორც ეს არის „აიდა“-ში. ოპერის ყველა პარტიები, თავიდან ბოლომდე chef d'oeuvre—ია.

— აიდასას, ამ საღამოს ასრულებდა მომღერალი პანკრატოვი. ამ მსახიობის შესახებ მე უკვე მქონდა შემთხვევა, გამეზიარებინა ჩემი აზრი „ტრიბუნის“ მკითხველთათვის. ვიცავ იმავე აზრს, რომ მსახიობი-ქალი პანკრატოვი მაღალ ხარისხოვანი მომღერალია. მომღერალს, ჩემის აზრით, ფრიად ფართე დიაპაზონის და ყველა რეგისტრებში მშვენიერი სკოლის მქონე ლირიკო-დრამატიული ხმა აქვს. როგორც მეტად დრამატიული ადგილები პარტიისა (მაგ. სცენა ამელრისთან მე-2 მოქმედებაში, რადამესთან მე-3 მოქმედებაში), ისე რილიური ფინალი პირველი სცენისა (ღმერთო ჩემო) და არია ნილოსის ნაპირზედ, სრულიად დამთავრებულად არის შესრულებული. დრამატიულის მხრივ პარტია, თუმცა მასში შესამჩნევი ადგილები არ არის, მოფიქრებულია და ვოკალურს გადმოცემასთან სრულს კონსონანს წარმოადგენს.

მომღერალ მოსინს ძლიერი ხმა აქვს და იგი მსმენელს თავისი სიმღერით უფრო ანცვიფრებს, ვიდრე ახარებს. მსახიობის აღსრულებაში ნაკლებად არის „კანტინენები“ და Mezza Voce, ამისათვის მის აღსრულებაში ლირიული ადგილები უფრო მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე დრამატიული ადგილები. მე-2 მოქმედების ფინალის სცენები მსახიობმა მშვენივრად შეასრულა. ოპერის დასაწყისში (1 მოქმედებაში რომანსი) მოსინს ხმა არ ჰქონდა და გახალისდა მხოლოდ მე 2 მოქმედების ბოლოში. მთელი სცენა აიდასთანა და ამონასრესთან (მე-3 მოქმედების trio) შესრულებულია კარგად, ტემპერამენტითა და ძლიერი ძგერით.

მსახიობი ქარციევაძე (ამონასრო) ეტყობა მეცადინეობს. წარმატება ეტყობა როგორც სიმღერაში, ისე დრამატიულ გადაცემაში. გრიმი და მთელი გარეგნული სახე შესაფერია ეთიოპიის მეფისათვის.

ამნერისის პარტიას ექსპრომტად ასრულებდა მსახიობი-ქალი სტრატენოვი. მომღერალს მშვენიერი ხმა აქვს (mezzo soprano), ლამაზი მაღალი რეგისტრით, თითქმის „კონტრალტის“ ხასიათისა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მსახიობი არა რითმიულად მღერის—მომღერალი ამას უნდა ერიდოს, თუ ჭსურს მისმა სიმღერამ დადებითი ნაყოფი გამოიღოს. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს პარტიის დრამატიულ გადაცემას და მიმიკას, ჯერ-ჯერობით კი ყოველივე ეს პრიმიტიულია.

რამერისის (ეგვიპტის უმაღლესი ქურუმი) პარტიას ასრულებდა მსახიობი ისეკი. კეთილშობილური მღერა, მშვენიერი ხმა, დამახასიათებელი გრიმი და მიმიკა, ყოველივე ეს ერთად აღებული გვაძლევს ისეკის მიერ ამ პარტიის მშვენივრად და დამთავრებულად შესრულებას.

მშვენიერი ხმა აქვს ახალგაზრდა მომღერალს ბლაგოობრაზოვს და, ეტყობა, მეცადინეობს კიდეც იგი, რადგანაც, რაც დრო გადის, მით უფრო მის მიერ შესრულებული პარტიები დამთავრებულ ხასიათს იღებენ როგორც დრამატიულის, ისე ვოკალურის მხრით.

მშვენივრად ასრულებს თავის საპასუხისმგებლო და დამოუკიდებელ პარტიას ორკესტრი, ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ცეკვა, როგორც ზანგებისა, ისე ამაზონკებისა უფერულად არის დადგმული. ცალკე სამალეტონომრებიდან მე მაინც გამოვყოფდი ლეონოვისა და სერგეევის აღსრულებას.

პ. ბებუთიშვილი.

——

ახალი კინო-სურათი. განათლების კომისარიატის კინო-სექცია ამჟამად ამზადებს ახალ კინო-სურათს: „არსენა ოძელაშვილს“. სურათი გამომპატეველი იქნება საქართველოს ბატონ-ყმურ ცხოვრების (40—50 წლები). როლები განაწილებულია მხოლოდ ქართველ მსახიობებს შორის.

——

მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია. პროფ. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში უკვე დაიწყო მეცადინეობა. ხსენებული სტუდია წელს გაფართოებულია და მიღებულია ახალი მოწაფეები. სტუდიას დახმარებას უწევს გან. კომისარიატის სახელოვნო კომიტეტი.

——

ახალი ჟურნალი „დროშა“. ნოემბრის 7—ტფილისში იწყებს გამოსვლას ახალი სამხატვრო სალიტერატურო ორკვირეული ჟურნალი: „დროშა“. ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორია მიხ. კახიანი, გამომცემელი სახ. გამომცემლობა.

——

საღამო. დღეს წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება პოლიტ-კურსებ დამთავრებულთათვის საზეიმო საღამო.

რუსთაველის თეატრი. დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მეოთხედ მ. ერისთავის კომედია „გაყრა“. დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

——

სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის „ენიადაგონი“ ი. ბარველის რეჟისორობით.

——

სახელმწიფო ოპერაში „პიკის ქალი“.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება მოგვეცით გაზეთ „ტრიბუნას“ საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ამხ. იპოლიტე გლახუნისძე დოლიძეს, რომელმაც ქ. ტფილისში თავის ნაცნობ მეგობრებ შორის შეაგროვა სამასი მილიონი (300,000,000 მ.) მანეთი და გადმოსცა ჩოხატაურის საავადმყოფოს საალმშენებლო კომიტეტს. ამასთანავე ულრმეს მადლობას უძღვნით ყველა იმ პირებს, რომელთაც იპ. დოლიძის საშუალებით აღმოუჩინეს დახმარება ზემო აღნიშნულ დაწესებულებას.

საალმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე
თ. ჩიჩუა.
მდივანი **ლ. ლამბაშიძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დავკარგე რაჭის მაზრის, სოფელ სხვავის მცხოვრებმა, ვასილ ბიქიას ძე ჩლაიძემ დავკარგე სოფ. სხვავის აღმასკომის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა და ამბროლაურის საავადმყოფოს უფროსი ექიმის მიერ მოცემული მოწმობა, ავადმყოფობის შესახებ, აგრეედვე სხვა და სხვა საბუთები, მასთან ოცდაათი მილიონი ფული. ვსთხოვ მპოვნელს დაბრუნოს საბუთები. ფული კი თვითონ დაიტოვოს.

მისამართი: ნაძალადევი, ლოტკის გორა, № 300. ვასილა ჩლაიძეს.

№ 451

გაზეთი „ტრიბუნა“

ნოემბრის 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის	
თვიურად	7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო	
პირთათვის	9.000.000 „
ცალკე ნომერი	500.000 „

ტირაჟი 190[illegible] ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 760 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, ქუთაისში, ქალ. № 4